კრიტერიუმები ლევან და მარინა მიქაბერიძეების სახელობის სტიპენდიის მისანიჭებლად:

1. პროფესორ ალექსანდრე მიქაბერიძის მიერ დაწესებული ლევან და მარინა მიქაბერიძეების სახელობის სტიპენდია „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა შეიძლება მოიპოვოს:
   ა) სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე ზეპირი გამოცდების საფუძველზე
   ბ) სამაგისტრო პროგრამის პირველი, მეორე და მესამე სემესტრის აკადემიური მოსწრების საფუძველზე;
2. ლევან და მარინა მიქაბერიძეების სტიპენდიის გაცემა ხდება სემესტრულად, თითოეულ სემესტრში სტიპენდიას მიიღებს 2 სტუდენტი.
3. „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაზე **შემოდგომის სემესტრში** ერთი სტიპენდია მიენიჭება სტუდენტს, რომელიც პროგრამაზე მიღებისას ზეპირი გამოცდის საფუძველზე დაიკავებს რეიტინგში მე-5 ადგილს (ზეპირი გამოცდის საფუძველზე რეიტინგში I-III ადგილზე მყოფ სტუდენტებს სტიპენდიას უნიშნავს კონრად ადენაუერის სახელობის ფონდი, ხოლო მე-4 ადგილზე მყოფს სტუდენტს დაენიშნება სტივენ ჯონსის სახელობის სტიპენდია), ხოლო მეორე სტიპენდია მიენიჭება სტუდენტს, რომელიც წინა სემესტრის აკადემიური მოსწრებით რეიტინგში ასევე დაიკავებს მე-5 ადგილს; (რეიტინგში I-III ადგილზე მყოფ სტუდენტებს სტიპენდიას უნიშნავს კონრად ადენაუერის სახელობის ფონდი, ხოლო მე-4 ადგილზე მყოფს სტუდენტს დაენიშნება სტივენ ჯონსის სახელობის სტიპენდია).
4. „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამაზე **გაზაფხულის სემესტრში** მიქაბერიძეების სახელობის სტიპენდია მიენიჭებათ წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების საფუძველზე შედგენილ რეიტინგში მე-9 და მე-10 ადგილზე მყოფ 2 სტუდენტს (გაზაფხულის სემესტრში I-VI ადგილზე მყოფ სტუდენტებს ენიშნებათ კონრად ადენაუერის ფონდის სტიპენდია, ხოლო VII-VIII ადგილზე გასულ სტუდენტებს სტივენ ჯონსის სახელობის სტიპენდია) ;
5. თითოეულ სტუდენტზე გასაცემი სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება სემესტრში 1200 ლარის ოდენობით;
6. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების რეიტინგს ადგენს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი პერსონალური ინფორმაციის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვით;
7. სტიპენდიის მიღების მომენტში მიმღებ პირს უნდა ჰქონდეს სტუდენტის აქტიური სტატუსი;
8. სტიპენდიის მოცულობა შესაძლოა მოდიფიცირდეს ლევან და მარინა მიქაბერიძეების სახელობის სასტიპენდიო ფონდში აკუმულირებული თანხის შესაბამისად;
9. სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭო ამავე ფაკულტეტის დეკანის ინიცირების საფუძველზე.